უნივერსიტეტის მეორე სასწავლო კორპუსში თანამშრომლებისა და სტუდენტების დაშვების დროებითი აკრძალვის შესახებ

11აგვისტო 2014 წ | თბილისი | N 95/01

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, თსსუ-ის წესდების მე-14 მუხლის, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათის (11.08.2014 N2061) შესაბამისად, თსსუ–ის მეორე სასწავლო კორპუსში თანამშრომლებისა და სტუდენტების დაშვების დროებითი აკრძალვის მიზნით,

ვბრძანებ:

1. თსსუ–ის მეორე სასწავლო კორპუსში მიმდინარე გამაგრებითი სამუშაოების ,,ა“ ფლიგელში სამუშაოების დასრულებამდე, ხოლო ,,ბ“ ფლიგელის შესახებ სსიპ ლ. სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნის გაცემამდე, ხსენებულ კორპუსში აიკრძალოს თსსუ–ის თანამშრომლებისა და სტუდენტების დაშვება.
2. ეთხოვოს თსსუ–ის დაცვის სამსახურს, უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ბრძანების შესრულება.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსს მ. რობაქიძეს.
5. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ზემოაღნიშნული ბრძანების თსსუ–ის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.
6. ბრძანება დაეგზავნოს: კანცლერს (ზ.ორჯონიკიძეს), კანცლერის აპარატს (ვ. მიქაშავიძეს), ინფრასტრუქტურის დეპარტამენტს (მ. რობაქიძეს), საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ზ. ტალახაძეს), დაცვის

   სამსახურს (ვ. თვაურს), თსსუ-ის ყველა სასწავლო დეპარტამენტს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა- ანგარიშგების დეპარტამენტს (ნ. მარიამიძეს).

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი